

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი  
სამაგისტრო პროგრამა „განათლების ფსიქოლოგია“

ნინო ინაშვილი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და ტიპური  
განვითარების მქონე მოსწავლეთა მშობლების დამოკიდებულება ინკლუზიური  
განათლების მიმართ

ნაშრომი შესრულებულია განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი  
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2021

## აბსტრაქტი

კვლევა ეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების დამოკიდებულებების შესწავლას ინკლუზიური განათლების მიმართ. აღნიშნული ნაშრომი იძლევა შესაბამის სურათს და გვიჩვენებს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორია ინკლუზიური განათლების მიმართ მშობლების დამოკიდებულება საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცესი 2005 წლიდან დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს გარკვეული ცვლილებები და რეფორმები, მის დასაწერად, გარკვეული პრობლემები მაინც არსებობს, მათ შორის მშობელთა დამოკიდებულებებშიც; სირთულეებს ვაწყდებით, როგორც სსსმ მოსწავლეთა მშობლების დამოკიდებულებებში, ასევე ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეთა მშობლებშიც.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არც თუ ისე ბევრი კვლევა არსებობს საქართველოში და თუ გავითვალისწინებთ საკითხის აქტუალობას, მისი შესწავლის მნიშვნელობა და საჭიროება კიდევ უფრო მეტად გაიზრდება; შესაბამისად, ეს კვლევა გვაძლევს ინფორმაციას და აღრმავებს ჩვენს წარმოდგენებს მშობელთა დამოკიდებულებების შესახებ, ინკლუზიური განათლების მიმართ; ამასთან, გამოკვეთს ამ საკითხთან დაკავშირებულ სირთულეებს და ნაწილობრივ მისი გადაწყვეტის გზებსაც გვთავაზობს.

ინკლუზიური განათლების წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულებები და წარმოდგენები არსებობს საზოგადოებაში მის მიმართ; მშობელი, როგორც უშუალო სუბიექტი და პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მონაწილე ინკლუზიურ განათლების განხორციელების პროცესში, გადამწყვეტ როლს ასრულებს, რადგან მშობლების დამოკიდებულება და ქცევა გავლენას ახდენს მათი შვილების დამოკიდებულებაზეც; შესაბამისად, მშობლებმა, რომლებიც მხარს არ უჭერენ ინკლუზიურ განათლებას, შეიძლება უარყოფითად იმოქმედონ თავიანთი შვილების დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე სხვა ბავშვების მიმართ, კერძოდ კი სპეციალური საგანმანათლებლოს საჭიროების მქონე(სსსმ) მოსწავლეებზე; ხოლო ის მშობლები, რომელთა ბავშვებსაც აქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, შესაძლოა გარკვეულწილად თავს დაჩაგრულად გრძობდნენ ან პესიმისტურად იყვნენ განწყობილი ზოგადად ინკლუზიური განათლების მიმართ, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახება მათი შვილების კოგნიტურ, ემოციურ, ფიზიკურ თუ სოციალური უნარების განვითარებაზე.

ამის გათვალისწინებით, მშობელთა დამოკიდებულებების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც მოსწავლეთა განვითარებისათვის; ასევე, ზოგადად, ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისათვის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენს სსსმ მოსწავლეთა მშობლებისა და ტიპური განვითარების მქონე

მოსწავლეთა მშობლების დამოკიდებულებების შესწავლა, ინკლუზიური განათლების მიმართ; მიზნის მისაღწევად შემუშავდა შემდეგი ამოცანები:

- არსებული კვლევებისა და საკანონმდებლო ბაზის განხილვა;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- ემპირიული კვლევის ჩატარება;
- დასკვნებისა და რეკომენდაციის შემუშავება;

კვლევის შედეგად გამოვლინდა, თუ როგორია მშობელთა დამოკიდებულებები და წარმოდგენები ინკლუზიური განათლების მიმართ, ასევე, გამოიკვეთა ის მიზეზები და ფაქტორები, რაც მათი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას.

## Abstract

The study addresses the study of the attitudes of parents of children with special educational needs and typical development towards inclusive education.

This study provides a relevant picture and gives us an idea of the attitude of parents towards inclusive education in Georgia. Although the process of inclusive education in Georgia started in 2005 and some changes and reforms are still underway, there are still some problems, including in the attitudes of parents; We face difficulties both in the attitudes of the parents of students with special educational needs and in the parents of students with typical development.

There is a lack of research on this issue in Georgia and if we will take into account the urgency of the issue, the importance and need for the study will increase even more; Therefore, this study provides information and deepens our perceptions of parents' attitudes towards inclusive education; At the same time, it highlights the difficulties related to this issue and it also offers partial solutions;

The success of inclusive education depends significantly on the attitudes and perceptions that society has towards it; The parent, as a direct subject and one of the main participants in the process of inclusive education, plays a crucial role because the attitude and behavior of the parents also influence the attitude of their children; Consequently, parents who don't support inclusive education can have a negative impact on their children's attitudes towards other children, particularly students in need of special education and those parents whose children have special educational needs may feel somewhat oppressed, or were pessimistic about inclusive education in general, which in turn negatively affects the development of their children's cognitive, emotional, physical or social skills. Considering this, the study of parental attitudes has a great importance to both student developments, as well as for the successful implementation of inclusive education in general.

In connection with this issue, a qualitative study was conducted, the purpose of which is to study the attitudes of parents of students with special educational needs and parents of students with typical development towards inclusive education; To achieve the goal, the following tasks were developed:

- Review of the existing research legal framework;
- Defining research methodology;
- Developing a research tool;
- Conducting empirical research;
- Develop conclusions and recommendations;

The study revealed the attitudes and perceptions of parents towards inclusive education, also, the reasons and factors that influence the formation of their attitudes were identified.